ხელშეკრულება №2

ქ.ფოთი 25 მარტი 2012წ

შ.პ.ს. „ლამინატი ", შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის თემური დარჩიას სახით ერთის მხრივ და თვითმმართველი ქ.ფოთის მე5საჯარო სკოლა , შემდგომში "დამკვეთი", წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა სამურკასოვისსახით მეორის მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 "დამკვეთი" უკვეთავს "შემსრულებელს" კომპიუტერისმაგიდას 5 ცალს, სამიშაო მაგიდას 1 ცალს და ტრიბუნას 1ცალის

1.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს დამზადებული ავეჯის ტრანსპორტირებას "დამკვეთი"-ს მიერ მითითებულ (ქ.ფოთი მიქაბერიძის №5) მისამართზე.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 25 მარტიდან 2012 წლის 10 აპრილამდე

3 მიწოდების პირობა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წარმოებს ხელშეკრულების წარმოებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის ვადაში,

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული გაწეული მომსახურეობის ღირებულებას 667(ექვსასსამოცდაშვიდი) ლარს გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების წესით. "დამკვეთი" გადაუხდის "შემსრულებელს" გაწეული მომსახურეობის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში.

5. ხარისხი და კომპლექტურობა

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი და კომპლექტურობა შეესაბამება ხარისხის სერთიპიკატს.

6. პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა დგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს–მაჟორი

7.1 ფორს–მაჟორული მდგომარეობის(კერძოდ ხანძრის,წყალდიდობის,მიწისძვრის ეპდემიის, საომარი მოქმედებების,ბლოკადის,ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ მიღებული რაიმე ხელის შემშლელი აქტებისა და ზომების)დადგომის შემთხვევაში,ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამთავრების მომენტამდე.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი_სადავო საკითხების მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაუწყვეტლობის შემთხვევაში, მათი გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე იტოვებს უფლებას ვადამდე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის სასურველ თარიღამდე 3 დღით ადრე ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი განზრახვის შესახებ.

7.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლა-რად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია,გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა და წარმოადგენს ერთი და იგივე დოკუმენტს. ხელშეკრულებაში თითო–თითო ეგზემპლარი რჩება გარიგებაში მონაწილე თითოეულ მხარეს.

8.მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
თვითმმართველი ქ.ფოთის მე-5 საჯარო სკოლა მიქაბერიძის №5 ს.კ215113419	შპს "ლამინატი " ქ.ფოთი ვ.კრატასიუკი №2 სს "პროკრედიტ ბანკი" GE66PCO103600100022657 ს.კ 215126076
დირექტორი: მურკასოვი	დირექტორი: თ.დარჩია

ქალაქ ფოთის №5 საჯარო სკოლა
LEPL CITY OF POTI. PUBLIC SCHOOL №5
215113419